სტუდენტური გეოვიქტორინა 2011

2011 წლის 8 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტთა გეოვიქტორინა. პირველად ჩატარდა ასეთი ღონისძიება გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. იმედია, იგი დასაბამს მისცემს სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს.

გეოვიქტორინაში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. თითოეული გუნდი 6 სტუდენტით იყო წარმოდგენილი. კითხვები შერჩეული იყო გეოგრაფიის სხვადასხვა დისციპლინიდან და შემლებისდაგვარად მოიცავდა ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის, აგრეთვე კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის საკვანძო საკითხებს. კითხვების სირთულის შესაბამისად მოფიქრების დრო და მაქსიმალური ქულების რაოდენობა განსხვავებული იყო. არასრულყოფილი პასუხის შემთხვევაში გუნდს შეეძლო გარკვეული ქულის, თუმცა არა მაქსიმალურის მოპოვება.

გეოვიქტორინამ მეტად აქტიურ ვითარებაში ჩაიარა. ცხადია, ყველა გამარჯვებისათვის იბრძოდა და თითოეულ მოპოვებულ ქულას სტუდენტები ხალისითა და მხიარული შეძახელიბებით ხვდებოდნენ.

<u>გეოვიქტორინის მონაწილე გუნდები:</u>

- **„კავშირი კოსმოსთან“** (დემეტრე მოდებაძე - გუნდის კაპიტანი, ნიკა დვალი, მარი სოხაძე, თამარ კევლიშვილი, ბეჟან თევდორაშვილი, ნიკო გაფრინდაშვილი);
- **„ელიფსი“** (გიორგი თოდაძე - გუნდის კაპიტანი, ნათია აკობია, ხატია ხეჩოშვილი, გიორგი გულიაშვილი, ვანო ლომიძე, თორნიკე კუტალაძე);
- **„ამეთვისტო“** (ელისაბედ ავალიანი - გუნდის კაპიტანი, ბიძინა ჩანქსელიანი, ლევან ორდენიძე, ზურაბ ლობჟანიძე, იოსებ ლაზარაშვილი და დავით ასრიაშვილი);
- **„მისტრალი“** (გიორგი მელიქიშვილი - გუნდის კაპიტანი, ავთანდილ ცისკარიშვილი, მიხეილ ტეფნაძე, მიხეილ ნიკურაძე, შოთა ვაშალომიძე, ნათია ხუროშვილი);
- **„შაშარნი“** მარიამ გაგოშაშვილი - გუნდის კაპიტანი, შორენა ბალავაძე, რომან კუმლაძე, გვანცა ზაქარეიშვილი, მიხეილ მრელაშვილი, მარიკა ბასილაძე);
- **„ტორნადო“** (თორნიკე სამხარაძე - გუნდის კაპიტანი, თინათინ ბირბიჩაძე, გივი მედვედევი, თორნიკე თოღუზაშვილი, ანა ჭიჭაღუა, ნათია ოქრიაშვილი);
- **„გეოიდი“** (ონისე აფხაზავა - გუნდის კაპიტანი, სალომე ჩერქეზია, შორენა შარტავა, სალომე ცოცხალავილი, გიორგი ლაცაბიძე, გიორგი ლურსმანაშვილი);
- **Orange Geography**“ (პაატა დვალაძე - გუნდის კაპიტანი, ოთარ ქურციკიძე, ნინო ზირაქაშვილი, აპოლონ ფაჩულია, სოფო სამადაშვილი, რუსუდან ხურცილავა).

<u>გეოვიქტორინის ჟიური:</u>
ნოდარ ელიზბარაშვილი, თსუ პროფესორი (ჟიურის თავმჯდომარე)
დალი ნიკოლაიშვილი, თსუ ასოცირებული პროფესორი
გიორგი დვალაშვილი, თსუ ასისტენტ პროფესორი
ლია მაჭავარიანი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ცეცილი დონაძე, თსუ ასოცირებული პროფესორი
ვაჟა ტრაპაიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი

გამარჯვებულები:

I ადგილი: გუნდი **„ამეთვისტო“** (50,5 ქულა).
II ადგილი: გუნდი **„ელიფსი** (41,5 ქულა).
III ადგილი: გუნდი „**Orange Geography**“ (41 ქულა).

პირველი ადგილის მფლობელი გუნდი „ამეთვისტო“ (მარცხნიდან მარჯვნივ): ბიძინა ჩანქსელიანი, იოსებ ლაზარაშვილი, ელისაბედ ავალიანი (კაპიტანი), დავით ასრიაშვილი, ლევან ორდინიძე, ზურაბ ლობჟანიძე

გამარჯვებულ სტუდენტებს წამახალისებელ პრიზებად გადაეცათ წიგნები და რუკები. I ადგილზე გასული გუნდის ექვსივე წევრს წახალისების მიზნით ერგოთ სპეციალური პრიზი - გარკვეული ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღონ გეოგრაფიის დეპარტამენტის მიერ 2011 წლის ზაფხულში დაგეგეგმილ შორეულ ექსპედიციაში საქართველოში, თურქეთსა და სომხეთში. დაგეგმილია ტაო-კლარჯეთის, კაბადოკიის, თურქეთის შავი ზღვისპირა ზოლის, სევანის ტბის, შუა არარატის ქვაბულის, ქ. ერევნის, ეჩმიაძინისა და გიუმრის, ჯავახეთის პლატოსა და აჭარის მონახულება.

ვულოცავთ პრიზიორებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარამტებებს მომავალშიც!